გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	„ . .	9 „	50 „
10	„ . .	8 „	75 „
9	„ . .	8 „	— „
8	„ . .	7 „	25 „
7	„ . .	6 „	50 „
6	„ . .	6 „	— „
5	„ . .	5 „	50 „
4	„ . .	4 „	75 „
3	„ . .	3 „	50 „
2	„ . .	2 „	75 „
1	„ . .	1 „	50 „

ივერია

№ 109 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 109

წლ ურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის წესი

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თებათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თებათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოტანს, გაზეთის „გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან.

კირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“

ჯღირს 7 მან. 25 კ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჯღირს ქალაქში 3 მან. 50 კ. და ქალაქ გარეთ 4 მან. 50 კ.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვს შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანარჩენი 1 მაისამდე, რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოთ.

ქართული თეატრი

კვირას, 9 მაისს

ქართული თეატრის არტისტებისაგან სცენის მოყვარეთა დახმარებით

წარმოდგენილი იქმნება:

დიდი მოურავი

ტრაგედია 5 მოქმ. და 16 სურათად ანტ. ფურცელაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ-ნი დავითაშვილისა, ჯავახოვისა, რონელი, აფხაზიშვილისა, ქართველიშვილისა და სხვ. ბბ-ნი ივანიძე, შალიკაშვილი, საფაროვი, ბაქრაძე, სარჯველაძე, მატარაძე, მუქედლიშვილი, გვარაძე, ბარველი, იმნაძე, იორდანიშვილი, ლორთქიფანიძე, ჩიტავაძე და სხვ.

ახლად შემდგარი ქართველ მომღერალთა გუნდი **მ. კავსაძის** ლოტბარობით შესრულებს რამდენიმე სიმღერას.

ადგილების ფასი დაკლებულია. ✱ დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

გამგე ბაქრო საფაროვი. (3—6—3).

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

ჯგუფი

ქართველთ მწერლებისა

(მესამე გამოცემა).

ტარ. მოვცელიძისა.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момпелидзе. (წლ.).

ახალი წიგნი

ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქალაქდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ფასი 1 მან.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

გამოვიდა ჭ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ლალაბი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

გამოგცემა „ივერიის“ ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალ-ეეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი ყიდველმა უნდა იკისროს.

ამ ბოლოს წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სატენზურო წესდების 1864 შუხლის ძალით აღკრძალულია.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ

შაბათს, 15 მ. ისს, სადამოს 7 საათსედ,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნული საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა,

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიურ ანგარიშის შესახებ,

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისათვის,

4) შემოწირულება,

5) სხვა-და-სხვა მოხსენება,

6) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის წევრთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატებისა,

7) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (11—უ—3).

ტფილისის სასაზინო თეატრი.

კვირას, 9 მაისს, 1904 წ.

ადგილობრივ რუსულ და ქართულ გაზეთების, ძმიმე ავადმყოფ თანამშრომლის **დ. ი. კეზელის** სასარგებლოდ.

ათი პროცენტი მთელის შემოსავლისა გადაიდება შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილთა და მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ, არტისტიულ საზოგადოების სცენის მოყვარულთაგან ქართველ მსახიობთა დახმარებით ს. ს. რასტოვსკის რეჟისორობით

წარმოდგენილი იმნება:

I

პრეზიდენტის ქორწილი

რუსულად კომ. 3 მოქმედ. სუხოვო-კობილინისა.

II

მომრიგებელი მოსამართლესთან

სცენა ერთ მოქმედებად დ. ი. კეზელისა.

რასპლუევის როლს შეასრულებს **ს. ს. რასატოვი.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მ. რ. გალლი, ვ. ვ. ფონ-შულმანი, გაბუნიაცაგარლისა, ბ-ნნი ს. ს. რასატოვი, ვ. აბაშიძე, კობიაკოვი, ფ. ვ. ბიჩკოვი, ნ. ნ. მაკაროვი, ი. დ. ამალინი, დ. ვ. ეფიმოვი, ი. პ. ნეფედნოვი, ა. ა. ვიშნიაკოვი და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ბილეთების ყიდვა შეიძლება „Тифлисскій Листокъ“-ის რედაქციაში დილის 8 საათიდან, ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 7 საათიდან 9 საათამდე. წარმოდგენის დღეს კასაში.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.

დაწვრილებით პროგრამაშია.

მთავრობის მიერ დაარსებული ქუთაისის ქალთა პროგიმნასია.

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები პროგიმნაზიის ახლად გახსნილ 2 კლასში დაიწყება 18 მაისიდგან, მოსამზადებელ და პირველ კლასებში 21 მაისიდგან. დაწვრილებით ცნობები ეგზამენების შესახებ შეუძლიანთ მსურველთ შეიტყონ პროგიმნაზიაში, მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლში. (3—5—3).

იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ქამდე უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—10)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(ეკუკიაში, ვორონცოვის ძეღლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

უ. ბ. ჩიძოლეანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

ბ. ბ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ბირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბაქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბ. სოლოლოვშვილი. 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ნ. ნ. ბოლოტაროვი. 5—6 ს. ბირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-თერაპია

ბ. ს. ე ლ ვი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზარეგანინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებით ავადმყოფობისა.

ბ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ს. ტ. ავანესიანაც. 11—1 ს. უკეთებს ანალიზი და მსუბუქად მასაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას **ექიმის დანიშვნით.**

რჩევა-დარიგებისა და **რეცეპტების** დაწერის **ფასი ათი შაური,** დარიგებათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—ნორ. ფეგ. ბით.

დირექტორი სანატორიუმისა დოქტორი **ა. ბ ე ლ ი შ ვ ი ლ ი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Нава сардіна*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

ქართველნი მკურნალნი:

ბ ე ბ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი მ ი ხ ე ი ლ,—ეორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

ბ ე ლ ი ლ ი შ ვ ი ლ ი კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ყალის-ბედის ქუჩა. სახლი მიდოგისა. № 5

ბ ა ბ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ბ რ ი გ ო ლ,—ეოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვ ა ხ ვ ა ძ ე ს ი ბ ი რ ი დ ო ნ. ჰეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

მ ა რ ი ა მ ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა ს ა ლ ი ნ ვ ი ლ ი ს ა, ელისაბედის ქუჩა, № 41.

დ ი ა ს ა ბ ი ძ ე ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ა,—მიხეილის ბრანშეკტი, სახლი დოდუხანოვისა, № 123.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. ბ ე ლ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ა

კუკია, ველიკოკანიეფსკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ეკლესიიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი ო ბ ი თ:

ა. ნ. ბ ი ბ ა ს ა ბ ი ძ ე. 11—12 საათ.

ა. ტ. ბ ო ლ ნ ი ნ ი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. ბ. ბ ა ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ლ. ბ. ბ ო ლ ნ ი ნ ი. ქალის., საბებ. და ბავშ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. ბ ე ბ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროთერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **ბ. ა. ბ ო ლ ნ ი ნ ი ა ნ ი**—ქალისა და ბავშვი 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

ბ ო. ბ. ს ო ლ ბ ო ლ ე ვ ს კ ი—ფოსტატერობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ბ. ა. ბ ე ი ე ი ნ ი. შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

საღამოობით:

ა. ბ. ბ ა ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაზეტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გადარეულია ფაი კრაზეტი.

16—8 ტელეფონი № 274

(წ.)

ომის ამბები

დეკეშები და წერილები.

ინგლისის მწერლობა რუსეთის შესახებ.—იაპონურ გაზეთის იმედი.—წერილი ცნობანი

«ამ დღეებში დიდი ამბები უნდა მოხდეს შორეულ-აღმოსავლეთში, ხოლო, რაც ეხლა მოხდება, იმით ომი არ გათავდება და არც ერთი მხარე არ დამარცხდება ერთხელ და სამუდამოდ,—ამბობს „ნოვ. ვრემია“. ჩვენ ჯერ იმდენი ჯარი არა გვყავს ომის ველზედ, რომ იაპონელების ჯარი გაანადგუროს და ვერც იაპონელები დაიკვეხებენ, რომ რუსის ჯარს ზედი-ზედ დაამარცხებენ, თუმცა ამათ ეხლა მეტი ჯარი გადმოიყვანეს მანჯურიაში. ჩვენმა გულ-კეთილმა მეზობლებმა კი წინდაწინვე გადასწყვიტეს, რომ იაპონელებს ბედი არ უმტკუნებს და მუდამ გამარჯვებას მიანიჭებს. ზოგი მათგანი ეხლაც გუნდრუკს უკმევს იაპონელებს და მტრის დამარცხებას ულოცავს. სწორედ ასე მოიქცა ინგლისის ლიბერალების ორგანო «დელი ნიუსი» რომელიც აქამომდე ძალიან თავდაჭერილი იყო, მომხრეობას არ იჩენდა რუსეთ-იაპონის ომის გამო. აცნობეს თუ არა იაპონელებმა, პორტა-არტურს ალყა შემოვარტყეთ, ნავთსაგეურის შესავალი ჩაკეტეთ და ბიძივოში გადასულმა ჩვენმა ჯარმა რკინის გზა გადასჭრაო, «ჩვენმა მეგობრებმა პირი იბრუნეს და «მახვილსაც გაჰყიდნენ», თუ რომ თვისი სიცოცხლე და თავი თვისი წინდაწინვე არ დაებევებინათ აღმოსავლის მზის ქვეყნისათვის... გუშინდელ მეგობართა ნაწილმა ზუგრი შემოგვაქცია, ზოგიც ეხლა იკბინის და ქების ხოტბას უძღვნის იაპონელებს:

შორსმჭვრეტელი გაუჩრიხობა იაპონელებისა, დაუდალავი ენერგია, შეზაგება გამბედავობისა და სიფრთხილის ეხლად ამტკიცებს ამაო ძალიერებს, რომელიც არაფერს დაეწეწებული არ იქმნება, როგორც უნდა გათავდეს ომი. ეახლოო მხოლოდ ომს თუ სამმა თვემ მაგ შემდეგ, რაც ომი დაიწყო, და ეხლა ჩვენ თვალწინ გაკეკვეშდა ომის ველი, სადაც მოსწინს ხელოვნენს, სწავლა, შეტნიერული განათლება, მოხერხება, წინდახედულობა, სამართალ და სრული წარმატება ადამიანადეთის ენისა. რუსები თითქმის ადარ ირეკებიენ ზღვაზე; ეგერი ეკერხუ დატეტალთ, უეცდურეს უეცდურებაზედ... ხმელეთზედაც ერთის გაუბეკობისა და უსაფუძო მოლოდინს მეორეს სიცარი ენერგია და სისწრაფე დაეჯახა. ამამშმდე იაპონელები მოქმედენდნენ. ამათ არ გამოეხატა შეუნაშნავი არც ერთი სუტი მხრე. ამათ შესრულეს ეოველი, რაც წინად განიზრახეს. მტერი გაოცებულს კორეიდან და მისდეკენ მანჯურიისაკენ. მოსსნეს ტიხე-სამაგრე, რომელის მეთხეთაც რუსეთს ბატონობა სწადდა შორეულ აღმოსავლეთში იაპონელებმა მოსწერს და კიაოლეკენს. დიდ ოკეანის ნაპირს რუსეთ ერთი-და-ერთი საუკრადღეო სამაგრეოდ შერჩა—ვლადივოსტოკი. იაპონია ისე მარჯვედ მოიქცა, რომ მის მეგობრების მოდდანს გაკაჭარა...

აი, ეს გულ-ახლილი საუბარი მაინც არისო,—ამბობს, «ნოვ. ვრემია». თუ გავიხსენებთ, რომ ამ გულ-ახლილობამ თავი იჩინა ინგლისის მწერლობის თავ-დაჭერილ ორგანოში, მაშინ ადვილად მივხვდებით, რას უნდა სწერდნენ სხვა გაზეთები, რომლებიც წინადაც მტრულად

გვიყურებდნენ. ვგონებთ, იაპონელებს უფრო ნაკლებად გამოუბრუა თავი გამარჯვებამ, ვიდრე მის მტრებს. სად გაჭარა ინგლისელების დარბაისლობა, სიდინჯე, დავდაჭერილობა?

—

ადმირალ სკრიდლოვს 1 მაისს ღიღით ირკუტსკზე გაუფლია. სადგურზე დახვედრიან გენერალ გუბერნატორი ქუთაისელი, და «წითელ ჯვრის» სამმართველოს უფროსი კაუფმანი. ცოტა ხნის შემდეგ ადმირალი ბაიკალისკენ წასულა. ტბა ისევ სქლად არის მოყინული და დათოვლილი. ყინულის მჭრელი გემი ოდნავ იკვლევდა გზას. ვერხნეუდინსკთან ადმირალს გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი დაუხვდა და 10 წამს ესაუბრა. მინისტერი ენერგიულად მოქმედებს. (ნ. ვ.).

—

იაპონელთა გაზეთი «ხოოცი» სწერს: ზღვაზედ რომ ვერას გახდა, ეხლა რუსეთი ხმელეთზე სცდილობს ჩვენს დამარცხებას, მაგრამ იმის ჯარს ორი რამ აბრკოლებს: ჯარის გადაყვან-გადმოყვანის სიძნელე და სურსათი. შიდა-რუსეთიდგან ირკუტსკამდე რკინის გზის ლიანდაგზე მხოლოდ 8 მატარებელი დადის და ირკუტსკიდგან აღმოსავლეთისკენ — ოთხი. თუმცა გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი ძლიერ სცდილობდა, მაგრამ ბაიკალის ტბის გარშემოსახვევი გზა მაინც ვერ დაამთავრა. რაც სურსათს შეეხება. მანჯურიაში რუსის ჯარი ვერას იშოვის. სურსათის საწყობნი აქვთ რუსებს სხადა-სხვა ქალაქებში და უმთავრესად—ხარბინსა და ციციკარში. პირველ ხარისხის საწყობებში ხუთ-ხუთი ათასი ფუთი უნდა იყოს და სხვაგან სამ-სამი. სულ მანჯურიაში 820 ფუთზე მეტი არ იქმნება. ესთქვათ მანჯურიაში ამ ჟამად 200,000 ჯარის კაცია. ეს სურსათი მხოლოდ 3 თვეს ეყოფა. ნუ დაიყოფთ, რომ ბაიკალის ტბის აქედ ღარიბ ბუნებაა და იქაური მოსავალი ადგილობრივ ხალხსაც ნახეკარ წელს არა ჰყოფნის. მანჯურიაში შინაური საქონელი ნაკლებად არის და ისიც უვარგისი. სად უნდა იშოვის რუსეთმა სურსათი იმ დროს, როდესაც ზღვის ბაზა შეკრული ექმნება. (რ. ვ.).

—

ლიაოიანის გარშემო რუსებს დიდი თხრილები ამოუღიათ. ქალაქს ოთხი კარი აქვს და ოთხსავე წინ ოთხ-ოთხი რიგი თხრილი აქვს. (ბ. ვ.).

—

ბრიუსელიდგან იუწყებიან, ვითომც გავრიდგან ანტვერპენზე შრაველი ყუმბარა და თოფ-იარაღი იგზავნება შორეულ-აღმოსავლეთისკენ. გავრიდგან ანტვერპენს საფრანგეთის გემებს მიაქვთ, იქიდგან გერმანიის გემებზე გადაიქვთ და ისე გზავნიან დიდ ოკეანისკენ. (რ. ვ.).

—

რუსეთ-იაპონიის ომმა ძალიან შეაფერხა აღებ მიცემობა ციმბირში. რკინის გზა მხოლოდ სამხედრო საჭიროებას უნდება და სხვა საქონელს არ ეზიდებოდა. ციმბირის ვაჭრები ცუდს მდგომარეობაში ჩავარდნენ და ზოგი მათგანი გაკოტრდა კიდეც. გაჭირება მოსკოვის ვაჭრებსაც დადგთ, ეისაც-კი ციმბირის ვაჭრებთანა ჰქონდა აღებ მაცემობა. რა-კი ვადაზედ ვეკმილებით ფული ვერ მიიღეს, თვითონაც ვერ გადიხადეს დროზედ ვალი. რავდენიმე მოსკოველი დიდი სოვდაგარი კიდეც გაკოტრებულა. მოსალოდნელია, რომ იმითი გაკოტრება ბევრს ვაჭარს გაადატკბებს არამც თუ მოსკოვში, არამედ სხვა ქალაქებშიც («რუს. ვ.»).

ტ ფ ი ლ ი ს ი

—

*** როგორც-კი ქალაქი შეიტანა ტფილისის ქალაქის მოურავმა და განაცხადა, ქალაქის მოურავობას თავს ვანებებ ავადმყოფობის გამოო, მაშინვე დაფაცურდნენ ჩვენი ქალაქის «მამები» და ასახელებენ ქალაქის მოურავის თანამდებობაზე სხვა-სხვა პაკაო. დღემდე სამი დასახელეს: ბაქოს ქალაქის თავი ა. ი. ნოვიკოვი, ქ. ა. ვერშინეკი და ხმოსანი ტფილისის ქალაქის სამეურნეო ა. ს. ბაბოვი.

*** როგორც გავიგეთ, ჴრიოვესორი კიევის სასულიერო აკადემიისა დმიტრიევსკი შესდგომია ქართულის ენის შესწავლას, რათა გამოიკვლიოს საქართველოს ეკლესიის სიძველენი.

*** 18 მაისს ტფილისში ალაქსანდრეპოლიდამ საეკლესიოდ ჩამოვლენ იქაური საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ტფილისში 18 მაიამდე დარჩებიან.

*** სპიტერატო დასი, რომელიც ამ ჟამად ტფილისშია, იმ კვირაა ტფილისიდამ მინერალურ წყლებზე მიდის.

*** 16 მაისს საზოგადო კრება ექმნებათ ტფილისის „ᲗᲠᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ მზრუნველ საზოგადოების წევრთ. კრება ნაშუადღევის პირველ საათზედ დაიწყება. კრება განიხილავს საზოგადოების წარსულის წლის მოქმედების ანგარიშსა და სარედაქციო კომისიის მოახსენებას და მსჯელობას იქონიებს „ᲗᲠᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ ახალ სადგომის აგების შესახებ. თუ ეს კრება არ შესდგა, მაშინ ხელ-მეორედ დაინიშნება 30 მაისისათვის.

*** დღეს, 9 მაისს, ნაშუადღევის პირველ საათზე. საზოგადო კრება ექმნება დედათა მესამე გიმნაზიის საქველმოქმედო საზოგადოებას.

*** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორასთან არსებულ სახელმწიფო ბანკის შენახული განყოფილების კასაში ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ განმავლობაში შესანახად შეუტანიათ 54.806 მან. ამავე თვეში გამოუტანიათ შენახული ფული 24.454 მანეთი 45 კაპ. სულ წლის დამდეგიდან პირველ მაისამდე შესანახად შეუტანიათ 251.492 მან., ამავე ხანს განმაცლობაში გამოუტანიათ 112.847 მან. 27 კაპ.

*** 16 მაისისათვის ტფილისის კალოიუნნის ეკლესიასთან დაარსებული სამზრუნველო იუწვევს ამა ეკლესიის მრევლს ეკლესიის საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** დღეს, 9 მაისს, ავლაბრის ქუჩის სცენის მოყვარულნი ამიერ-კავკასიის რკინის გზის სახელოსნოების თეატრში წარმოადგენენ სამ მოქმედებიან დრამას „უბედური“ ს.

*** სოფლის მემამულეთა, რომელთაც სამეურნეო იარაღისა ან წამლების შეძენა სურთ, შეუძლიანთ შეეწუობისთვის მიმმართონან კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას. საზოგადოება ჰკისრულობს უსასყიდლოდ დაეხმაროს სოფლის მეურნეთ და ამით მცხოვრებთა შორის გაავრცელოს სასარგებლო სამეურნეო იარაღი.

*** ტფილისში იურიეევიდანა და ხარკოვიდან საბერთალო ინსტიტუტის 30 სტუდენტი ჩამოვიდა ტფილისის გუბერნიაში საქონლის ავადმყოფობის მოსაშორებს საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

*** მოკლე ხანში საიმპერატორო არხეოლოგიური საზოგადოება პეტერბურგიდან კავკასიაში გამოჰგზავნის ერთს თავის წევრს არხეოლოგიურ გამოკვლევათა მოსახდენად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას სხვადასხვა საზოგადოებანი სთხოვენ შეწეობას. ყველა ამ თხოვნების ქალაქის გამგეობა ამ დღეებში განიხილავს.

*** ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, კარგი ცხენები იყიდოს ტფილისის ცცხლის მქრობელ რაზმისათვის.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

—

ქ. **ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ.** კვირას, 2 მაისს აქაურ სამოქალაქო დედათა სასწავლებელში გაიმართა სალიტერატურო ღიღა. მონაწილეობას იღებდნენ ამავე სკოლის მოსწავლენი. ღიღა შესდგებოდა ორი სამის განყოფილებისაგან და გვარიანადაც იყო მოწყობილი. მშვენივრად წაიკითხეს მოწაფე ქალებმა რამდენიმე რუსული და ორიოდე ქართული ლექსი. აგრეთვე მღეროდა მოწაფე ქალთა ხორო, მხოლოდ რუსულ სიმღერებს. ხოროს ვერ ეტყობოდა მაინც და მაინც კარგი მოშზადება. გაიმართა რამდენიმე ბუნდოვანი სურათიცა და სხვ.

საერთოდ უნდა ვსთქვათ, რომ ღიღამ კარგად ჩაიარა და ასამოფნა მოსწავლენი; ყველა რაღაც დიდ სიხარულს გრძნობდა, თითქოს დღესასწაულია. მაღლობის ღირსია ქ-ნი ნ. სალაყაიასი (უფროსი მასწავლებელი) ამ ღიღის გამართვისათვის. სასურველია შემდეგშიაც განმეორდეს. მაგრამ არ შეგვიძლია ამ «ბალლობასა» საყვედურის კილო არ მივსცეთ. აი რატომ: დღემდისაც იმართებოდა ამ სასწავლებელში ამნაირი სალიტერატურო ღიღა და ყოველთვის მოწაფეთა მშობლებს იწვევდნენ დასასწრებლად ღიღის გამმართველნი და მეთაურნი, რომ მშობლებიც დამტკბარიყვნენ თავიანთი შვილების წაკითხულის და ნათქვამის მოსმენით, ახლა-კი ასე არ იყო.

მსაურეული.

—

თელავი უამინდობამ სული ამოგვართვა აპრილში. იშვიათია მზიანი და ბრწყინვალე დღე. ქუხილობა და ავიაბაა ხშირია აქეთ. აპრილის 16 ს ღამე გასტეხეს სამი ღუქანი: მეწვრილნე სანდრო კირკოროზოისა, მიკიტანის იაგორ ბიკიტუშვილისა, ფეხსაცმელების მკერავის გრიგოლ ოსეფოვისა. პოლიცია ბოროტ-მოქმედთ ეძებს.

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ

—

ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ. ღიდი უამინდობა იყო აქეთ მარტსა და აპრილში.

ინ აპრილიც გავიდა, მაგრამ ჩვენთვის ხეირიანი დღე არ გამოსულა; არ გვინახამს მზის თვალი. ღღე და ღამე შეუწყეტლივ სწვიმს. მერე ისე ანსად ეცოდინება საგრძნობელი და შემაწუხებელი ავადარი, როგორც კავკაზში. გაავდარდება თუ არა, მერე იმისი გადაღება შეუძლებელია, მინამდის კარგი გულს არ იჯერებ. მუშა ხალხი ძალიან შეაფერხა, ნამეტაგით მხენელ-მთესველნი. ამ დროს ბამენ გუთნებს და ᲮᲮᲔᲛᲔᲑ სიმინდებს. ზოგს ჯერ არც კი გაუტანია თავიანთ მამულებში გუთანი. ცდება გარდან მოსული მუშა ხალხიც. აქაურობა თითქმის გავსებულია დღიურ მუშა ხალხით, მეტადრე ღუშეთის მაზრისა, არაგვის-პირელ და ქსნის-ხეობის ხალხით. ყველანი დაეძებენ საქმეს. სხვათა შორის, ეტანებიან ქარხნებს აგურისა და კრამიტისას. მოგეხსენებათ, აქ არსებობს, კაკავიდგან 4 ვერსის მანძილზედ, დავთი ზაქარიას ძის სარაჯიშვილის არაყის ქარხანა. იქ ამ ჟამად 120 კაცი მუშაობს ან არაგვისა და ქსნის-ხრის მუშა ეტანება ამ ქარხანას, რადგანაც საუკეთესო მუშისთვის საუკეთესო ალაგია. ჯამაგირებიც ნაღდი რჩებათ და ამ ჯამაგირით კმაყოფილნი არიან ნ მეტად. ღმერთმა ჰქნას, რომ ამისთანა გულ-შემატკივარი კაცები კიდეც ჰყვანდეს ჩვენს ქვეყანას, როგორც დავთი ზაქარიას ძე სარაჯიშვილია. საწყალი კაცი ღუკმა პურს შოულობს მთვარან.

მოვიდნენ ციზლარიდგან მთიულებისა და მოხევეთა ცხენის ფარები. აქეთ ცხენი კარგად გამოიკვება. კაკავიის გარშემო მინდერები გავსებულია ცხენის ფარებით. მიდიან კიდეც ახლა მთისკენ.

ხასრო კარაშეიდი.

თეატრი და ხელოვნება

—

ექიმი შტოკმანი იბსენისა ჩვენს სცენაზედ სარეპერტუარო პიესად გადაიქცა, თან-და-თან უფრო მეტს ხალხს იზიდავს თეატრში. და ეს არც გასაკვირველია, რადგანაც, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ამ პიესაში ქართველი მაყურებელი ბევრს საპირ-ბოროტო საგნის პასუხს ჰპოვებს.

სიმპათიოლისათვის თავ-გამოდებული მებრძოლი ექიმი შტოკმანი, რომელსაც ცხოვრებაში არავითარი კომპრომისები არა სწამს, ღიდიაც წასაბაძავი მაგალითია ჩვენს ღროში, როცა საზოგადო საქმეს სათავეში სხვა და სხვა ᲮᲐᲮᲘ ᲑᲘᲠᲒᲛᲘᲡ სტრეპი უდგანან, გაფუსტდები და ბილინგები საზოგადოებრივ აზრს ზრდიან და რეენიან, როცა ასეკაქსენი „ᲗᲝᲛᲘᲠᲘᲠᲘ ᲒᲝᲜᲘᲠᲘᲐ“ და «გონიერი ზომიერება» საერთო მცნებად გადაქცეული, საკუთარის აზრის უარყოფობამდი და ავტორიტეტის ყურ-მოჭრილ მონობამდის მისულია.

საზოგადოებას სწყურია ახალი აზრი, ველარ ურიგდება ათასნაირად გადალეწილ ტრადიციებს, ალარა სწამს გოფსტადების და ბილინგების ლიბერალური ქადაგება და იმიტომაც ეტანება ისეთს პიესებს, როგორც «ᲮᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲢᲠᲘᲜᲐ».

ხუთშაბათსაც, 6 მაისს, თეატრი სავსე იყო ხალხით და ისეთივე ალტაცებით მიეგება პიესას, როგორც წინად.

წარმოდგენამ კარგად ჩაიარა.

ქ. მესხი ჩვეულებრივ კარგი შტოკმანი იყო, ნ. დავთაშვილი გულ-წრფელი, მამის აზრებით გატაცებული პეტრა, სარჯველაძე, შალიკაშვილი — რიგიანი ბილინგი და გოფსტადი. ივანიძე კარგი ასეკაქსენი იქნებოდა, რომ მას და—აქვ— საფარველაც თამაშობის დროს მეტი «ᲗᲝᲛᲘᲠᲘᲠᲘ ᲒᲝᲜᲘᲠᲘᲐ» გამოეჩინთ და გადეჭარბებით არ დაეხატათ ისეთიც კომიკური ხასიათის როლები.

მორტენ კილის (რომანიშვილს) არა უქირდა რა; სუსტი იო მხოლოდ ბურგომისტრის როლის ამსრულებელი ი. ხაშმელი, რომელმაც ვერ შესძლო დაეხატა უფლებით აღქურვილი ობსკურანტი.

სახალხო კრების სცენამ მწყობრად ჩაიარა.

—

ᲡᲝᲤ. ᲕᲔᲚᲘᲜᲘᲫᲔ. სოფლებშიც გვეღირსება ხალმე ხან ნამ წარმოდგენები. ჩვენს სოფელში აპრილში წარმოადგინეს «ქართველი დედა», ა. ცაგარლის 4 მოქმ. დრამა. მოთავედ იყო ენ. ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲜᲘ. შემოსავალი უნდა მოჰხმარებოდა წითელ ჯვრის საზოგადოების საჭიროებას.

მართალია, ძნელია ამისთანა დრამის წარმოდგენა სოფლად, რადგან სცენას

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

—

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲗᲥᲕᲔ.

(ნამდვილი ამბავი)

აი, როგორ მიამბო ერთმა გიმნაზიის მოწაფემ თავისი ახირებული ტყუილა. „მეტად მიყვარს ჩვენი სოფელი კ—ი (ბორჩალოში), სადაც თითქმის მთელი ჩემი ბავშვობა გავატარე. ბევრი დაუვიწყარი მოგონება მაქვს ამ სოფლისა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ყამთა ტრიალი ყოველ მოგონებას თან-და-თან აპუწდოვნებს, აბურუსებს: გაიფლის დრო და ჩვენს მოგონებათა რომელსმე თვალ-წარმტაც სურათზედ ძლიან-და ჰბეჭედავს აქიქ ზოგიერთი ეპიზოდი წარსულიდგან—ისიც მეტად მკრთალად და უფერულად. მეც, უფუველია, ამ საყოველთაო კანონს ვექვემდებარები; ჩემის პატარობის საამური მოგონებათა თაიგულიდგან ბევრი ყვავილი გასჭნა, ბევრი მოგონება სრულიად აღმოიხოცა მეხსიერებიდგან, ხოგიც სიზმარივით ოდნავ-და მახსოვს. მაგრამ ძა-კი, რაც 1898 წლის მარიამობისოვის 24-ს ენახე და ვიგრძენ, მოელს ჩემს სიცოცხლეში ცოცხალ სურათად მექნება თვალ-წინ.

ცხრა წლისა ვიქნებოდი ჯერ კიდეე სკოლაში არ დავიარებოდი მუდამ შინაობაში ყოფნა, გადაჭიმებული ალოერსი და ლალობა, ცოტა არ იყოს, მანებივრებდა; არც სწავლას ვუდებდი გულსა. ამიტომ ჩემმა მშობლებმა გადასწყვიტეს იმ შემოდგომითვე გიმნაზიაში მიეგბარებინეთ. თან-და-თან შემაჩვიეს იმ აზრსა, რომ გიმნაზიაში ყოფნა მეტად კარგიაო: ტოლ-ამხანაგობა ბევრი ეყოლება, მაშასადამე ცელქობა-თამაშიც იმდენი შეგიძლია, რამდენიც-კი გინდაო: სწავლა ხომ სულ გაგიადვილდება ამხანაგებთანაო; ყველაფერზედ უფრო კი ისა მხიბლავდა, რომ ფორმის ტანისამოსს ჩაიცავდი. ერთის სიტყვით გიმნაზიის ცხენი ყურები გამომიქედეს და წინაადმდეგობას ველარ ვახერხებდი; მაგრამ ინსტიქტიურად-კი ვგრძნობდი რაღაც მახეს მიგებდნენ. ის ხომ მაინც ცხადი იყო, რომ დედის კალთას უნდა მოვშორებოდი და ჩემს ძეიროფასს კ—თს, მის მშვენიერ ბალვენახებსა და მობიბინე არე-მარეს წლითი-წლამდე ველარ ენახავდი.

დადგა მარიამობისთვე. რაღაც უხალისობა დამჩემდა. მე თავით არ ვიცოდი მიზეზი, ჩემს თავს ანგარიშს ვერ ეძალებდი, მაგრამ უსიამოვნო წინად-გრძნობამკი შემიპყრა.

23-ს მოსამსახურემ ალერსიანად მითხრა, ხვალ ღილით ქალ-ქისაკენ გავემგზავრებითო. ცოტა დავლონდი და ჩავფიქრდი. ამ დროს ჩემი მასწავლებლის ხმაც შემომესმა. მიეზიდი, სამეცადინოდ მეძახდა. მე ჩემი დარდი მოსვენებას არ მაძლევდა, რა მაცადინობისა მცხელოდა! თითქოს ძახილი არც-კი გამიგონია, ხელდგ ჩავირბინე კიბე და ბალისაკენ გავქანდი. სანამ ეინი არ მოვიკალ სირბილითა და ცელქობით, სახლს არ მივკარებივარ. საღილობისას დავბრუნდი ძალზედ დაქანცული. მასწავლებელმა, რასაკვირველია, საყვედურებით ამავსო,—ხეალ-ზეგ ეგზამენი უნდა დაიპირო და შენ-კი ცელქობას უნდეანო. პასუხი არ გავეცი, მივუჯექ სუფრასა და მადიანად შევექეცი საღილს. საღამოც სულ გარეთ გავატარე; მეორე დღეს ღილა-ადრიანად გამაღვიძეს; მეტად დამეზარა ადგომა, მაგ-ამ ვინ ვიზამდი, უნდა ამდგარიყავ-, რაგდან ყველანი ფაცა-ფუცაში იყვნენ: ალაგებდნენ და ახეევდნენ ბარგსა. პირი დავიბანე და, სანამ საუზმეთ დამიძახ-ნენ, ერთხელ კიდეე მოვასწარ ბალისა და ვენახის «რევიზია». აქ-ც ერთი ძირი ხეხილი არ დამიტოვებია, რომ არ შემეთვალიერებინოს. როდესაც ვიზებს დავუთვალიერებინენ, ქარვასავით მტევნებმა მიმიზიდა; თითო ორორი მარცვალი გამოვაძრე აქა-ი მტევნებსა, და ამ დროს მოსამსახურის ხმაც მომესმა, საუზმედ მეძახდნენ. ბალის კარებთან რომ მივედი, ერთი კიდეე გადავავლე ნაღვლიანად თვალი იმ არე-მარესა და ავიანზე ავირბინე.

საუზმე არ გაგეიგრძელებია; დავნაყრდით თუ არა, წამოვიშალენთ სუფრიდგან, ხატის წინ პირჯვარი გადავისახეთ და გავედით ეზოში ეტლში ჩასასხდომად. რაგდან სპპატიო ადგილები ეტლში უფროსებმა დიაკავეს, მე წინა სკამზე უნდა მოვთავსებულიყავი. ჯერ ერთი, სულაც არ მინდოდა ეტლში ᲯᲓᲝᲛᲐ,—სულ იმას ვოცნებობდი, როგორმე ცხენ-დაკ.ხენ მომეხერხებია მგზავრობა. ახლა ᲮᲝᲛ მიზეზიც ვიშოვე,—წინა სკამზე ᲯᲓᲝᲛᲐ ᲔᲘᲝᲠᲘᲡ; დავიწყ ბუზღუნი, ხან წელის ტკივილი მოვიმიზეზე, ხან თავი ა, მაგრამ არა გამეწყო-რა, ვერ გასჭრა ჩემმა ოინმა. გავუდექით გზასა, ჩვენ ეტლითა, მოსამსახურენი კი ცხენდაცხენ. დაიძრა თუ არა ეტლი, მეც თანდათან ეიმატე ბუზღუნს. სცდილობდნენ, როგორმე გავერთე და დავემშვიდებინე, მაგრამ ამაოდ. რაგდან ყველას თავი მოვაბეზრე, დედამ აღმითქვა, სადილობამდე როგორმე მოითმინე, შვილო, და მერმე ან აქეთ მოგაცემ ეტლში ალაგს, ან ცხენით გაგიტუტებრმა. მეც მეტი არა მინდოდა-რა, ხელად გავმხიარულდი.

12 საათი იქნებოდა სოფ. ა—ოს რომ მივედით, თ-დ ნ. ო—ის ბაღში, სადაც სადილად გველოდნენ. ნასადილევს გადაბერით განვუტ-ადე ჩვენებს, — თუ ცხენზედ არ შემსვიან, აქედგან ფეხსაც ადარ მოვი ელი-მეფე.

მცირეოდენ თათბირის შემდეგ გამოარჩევს მასპინძელს ცხენი და, რაგდან ფეტეხი გამოდგა, ერთს ჩვენს მხლებელთაკანს გადასცეს: მის ცხენებზე კი, დინჯსა და აუჩქარებელზედ, მე შემსვეს. თანაგზაგარად მომცეს გამოცდილი მსახური ყურ-ბანა, რომელსაც დაავალეს,—არამცა და არამც მაგ ცუდლუტმა ცხენი არ გაიჩქაროს და არა მიიწიოს-რაო. ყურბანმა ჩაეკინა: კარგად იცოდა ის ცხენის სიდარბაისლე, ვაგლახად არ აჩქარდებოდა, და დედაჩემის გაფრთხილება სრულიად მეტ იყო.

მე და ყურ ანა ა დგან სოფ. კოდაზედ უნდა წამოვსულიყავით, რაგდან თითქმის ერთი-ორად მოვჩრიდით გზასა. ჩვენები ეტლითა იყვნენ და ფეხ-ტაეცილით უნდა ეფლოთ. რასაკვირველია, რაც უნდა ნელი გვეკვლო ცხენოსნებს, მაინც ბევრად უფრო ადრე მოვიდოდით ქალაქს.

ორი საათი იქნებოდა, კოდას რომ მივუახლოვდით. საოკარი პაპანაქვება იყო. დედა-მიწას ვარვალი გაჰქონდა სიცხისაგან. ბევრჯელა ვცადე ცხენი გამეჩქარებინა, მაგრამ ჩემი მერანი ყურსაც არ იბერტყავდა. მიგდიოდით ნელის ნაბიჯით, თუმცა ცხენები მაინც გაქაფულნი იყვნენ აუტანელ სიცხისაგან; კაი დღე არც ჩვენ ვეიდგა, სუფთაქმა გვეხუთებოდა; ასე ვეეგონა, ჰაერის მაგვარად ცეცხლის ალსა ვყლაპავდით. გავცდით კოდას, სადაც იმ ჟამად სამხედრო სადარაჯო იყო გამართული და შევუდექით ერთს გორაკსა: გადგებერა მთის სიმა და სწორედ გაგვანელდა. სპარალო ცხენებმაც თავისუფლად იწყეს სუნთქვა, დაბერილის ნესტოებით ხარბად ჰყლაპავდნენ გრილს ნიავსა და სიამოვნების ნიშნად ხშირ-ხშირადა ფრთქვენდნენ. ჩვენც დავაყარეთ სადავე და მიუშვით ნებაზედ. ამასობაში კიდეც ავიეაკეთ.

სწორედ ადარ მახსოვს, რის შესახებ გამოველაპარაკე მაშინ ყურბანას, რომელიც იქვე მხარ-და-მხარ მომდევდა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მოწყობა უნდა, ტანისამოსიც ადვილი საშოვარი არ არის, მაგრამ დაბრკოლებას მაინც სძლიეს.

თავი ინინა უფრო ლეილას როლში ვანახეს ქალმა, ფატმას როლში ანდრონიკაშვილის ქალმა, სულეიმან ფაშის როლში რ. ჯანდიერიმა, ომარ ხანისაში— ტერ-მოსესოვმა, პაპუსაში— ვ. ანდრონიკაშვილმა და სხვ. მეტადრე კარგი იყო ვ. ანდრონიკაშვილი პაპუას როლში.

ხალხი საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას და წმინდა შემოსავალი 120 მანეთამდე დარჩა.

ბეჟ. მ—ლი.

—

დ. ᲮᲝᲜᲘ. შარშან ხშირად იყო აქ წარმოდგენები. წელს-კი ძალიან ძვირად იმართება, «ბალაგანი» ღარა გვაქვს და იმიტომ. შობის აქეთ სულ ორი წარმოდგენა გაიმართა ქუთათურს არტისტის «ნემოს» მონაწილეობითა და დახმარებით. ორივე წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით იყო გამართული—საბაკითხველოს სასარგებლოდ და დღევანდ პროგრამაზეის ღარიბ მოწფფეთა დასახმარებლად.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

(დასასრული *).

ᲠᲝᲛᲘ. (საკუთარ კორესპონდენტ.). გრიგოლ პაპმა ეკლესია კვალად განაბრწყინა იმით, რომ ბევრად განამშვენა ლათინური ლიტურგია და შემოიღო ეგრედ წოდებული საეკლესიო გალობა (Cantus Gregorianus), რომელიც დღემდინ ხმარებაშია. ეს გალობა, თუმცა უწინ ყველა ესკლესიაში სრულდებოდა, მაგრამ ნელ-ნელა ბევრგან შესუსტდა და მის ნაცვლად შეომოიღეს სხვა-და-სხვა მუსიკა, რომელიც მრევლს, სასოებაზე აღძვრის მაგივრად, ართობს ხოლმე თეატრულად. ამ გარემოებამ ახალ პაპის ყურადღება მიიქცია და გავლილის წლის დამლევს პაპმა გამოსცა განკარგულება, რომლითაც ეკლესიებში აქამდინ ხმარებული გალობა-მუსიკა აუარძალა და ყველას დაავალა, ამიერიო

ბა, იაპონელთა მეცადინეობა, რომ 1 მაისს ნავსადგურს კერში გადაეხსნათ ჯარები უნაყოფოდ დარჩაო. 3 მაისს ჩვენს მოწინავე ჯარებს კვანტუანის რაზმისას თავს დაეცნენ იაპონელნი სანშილიპოს ახლო. იაპონელებს საგრძნობელი ზარალი მოუვიდათ და წინ წამოსვლას თავი დაანებეს. ჩვენი რაზმი ეზიანჩეოუსკენ წავიდა.

პარიში იაპონიის ელჩის ცნობით, ადმირალ ტოგოს მოუსხსენებია, როდესაც ჯავშნიანი გემი «ხატცუსე» იძირებოდა, რუსის 16 ნაღმოსანმა დაუწყო მოახლოება, მაგრამ იაპონიის კრეისერებმა უკან გააბრუნესო. კრეისერები «ხატცუსე» ს 300 მეზღვაური, ადმირალი ნიშუად და კაპიტანი პაკო გადაარჩინეს.

ლონდონი. («რეიტერის სააგენტო»). იაპონიის მისსიამ გამოაცხადა ოფიციალური დეპეშა, რომელშიაც აწერილია 3 მაისს მომხდარი ციზიჩეოუსთან ბრძოლა. რუსებს ამ დროს ჰყოლიათ 5-ე, 14 ე და 16-ე მსროლელი პოლკები და 8 სწრაფ მსროლელი ზარბაზანი.

ვლადივოსტოკი. ვლადივოსტოკში სიწყნარეა; პეტრეს ყურეში ხანდაზმული გამოსნდებოდნენ ხოლმე მტრის გემები, მაგრამ ვლადივოსტოკს კი არ მოახლოვებიან.

პარიში. როგორც ისმის, საფრანგეთსა და ისპანიას მოროკოს შესახებ პირშეკრულობაზე ხელი მოუწერიათ.

8 მაისი.

პეტერგზბურგი. დეპეშა ხელმწიფის მოადგილისა მის უმაღლესობა გენერალ-ადმირალთან 7 მაისიდან: ღამე 7 მაისს კონტრ ადმირალი ვიტგეფტისაგან ფოსტით შემდეგი მოხსენება მოვიდა: 2 მაისს მტრის სამი ჯავშნიანი გემი და სამი კრეისერი დილით აღმოსავლეთისკენ გამოჩდნენ. ლიაოტეშენიდან და ოქროს მთიდან თვალს ვადევნებდით იმათ მოძრაობას. გემებმა გადაიარეს პორტ-არტურის მერიდიანი, მობრუნდნენ აღმოსავლეთისკენ და თითქოს ადგილებს იცვლიდნენ, რომ ამ დროს მესამე ჯავშნიანი გემი «ფუჯი» აფეთქა, ყმები გაჩერდა, გადიხარა მარჯვნივ და ცხვირით დაეზჯინა და დიდ-ძალ ორთქლს უშვებდა. ორი კრეისერი მსწრაფლად მიეშველნენ. ოქროს მთიდგან შეამჩნიეს, რომ ჩაუშვეს ნავები. შემდეგ გემი გასწორდა და ეტუობოდა ცდილობდა მოეარნა გატეხილ ადგილისათვის. ამდროს მეორე ჯავშნიან, გემი «შიკოშიმა» მიუახლოვდა უბედურობის ადგილსა და შუა ადგილას ნაღმი აუფეთქა, მაშინვე მეორე აფეთქება მოჰყვა, ისეთივე, როგორც „პეტროპავლოვსკს“ შეემთხვა, და ერთი წუთის შემდეგ ჩაიძირა. მესამე ჯავშნიანი გემი ზღვაში გავიდა. კრეისერები კი დარჩნენ გაეგზავნე 16 ნაღმოსანი მტრის შესაწუხებლად და, თუ მოახელებდნენ, იერიშიც უნდა მიეტანათ ცალ-ცალ-კე გემებზე. კრეისერი «ნოვიკი» გავიდა მისაშველებლად საჭირო დროს, სხვა კრეისერებმა მზადება დაიწყეს. ამ დროს ზღვიდან გამოვიდა ხუთი კრეისერი იაპონელთა და დიდი ზარბაზნებიდან დაუშინეს ყუმბარა. ნაღმოსნები უეცნებლად დაბრუნდნენ. ამასსამაბაში დაზიანებული ჯავშნიანი გემი თავის კრეისერებით მიგეყვარა ღამე ცივი ქარი ჰქროდა და ღრუბლავდა. დილით, 3 მაისს, უბედურ შემთხვევის ალაგს სამი ნაღმოსანი მოვიდა, იმათ წინაადმდეგ «ნოვიკი» გავგზავნე და ისინი წავიდნენ. კერბეის მომავალი გემი, როგორც ნიშანზე ეტუობოდა, კრეისერი უნდა ყოფილიყო. როგორც სანაპიროდან შეგვატყობინეს, კერბეში ჯარის გადასმის დროს ჩვენმა მსუბუქმა არტილერიამ სამი ნაღმოსანი დაიზიანა“.

მუკდენი. (სპეციალური) ჯავშნიან გემ «ხატცუსზედ» და კრეისერ „ოიშინოზე“ დილითა წყალში დარჩობით 700 კაცზედ მეტი.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო») ოფიციალურად. იაპონიის ქვეითა ჯარის რაზმმა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზედ, საზვერავად გაგზავნილმა, ორი რაზმი ინოვა რუსთა. რუსმა ტყვემ სთქვა, რომ რუსეთის ჯარი ნახევარ-კუნძულზედ ცინჯოუს ქვეით შესდგება მე 4-ს ნაწილისაგან და მთლად მე-7 ქვეითის დივიზიისაგანა. იუწყებიან, რომ პორტ-არტურში ჰყავთ ტყვედ ერთი საზღვაო ოფიცერი იაპონელთა და 30 მდაბიო ჯარის-კაცი. ისინი იმ გემებზედ ყოფილან, რომელნიც დასძირა უკანასკნელ იერიშის დროს.

ჩიფუ. («რეიტერის სააგენტო») კერძო დეპეშა იაპონურ წყაროდან იუწყება, რომ «ხატცუსეა» და «ოიშინოს» გარდა ორი გემი კიდევ დაზიანდა 2 მაისს დილისთანაო. რუსნი ირწმუნებიან, რომ იაპონელთა ერთი გემი კიდევ დაზიანდა პორტ არტურთანაო. — 7 მაისს დილით ისევ ზარბაზნების ძრიელი სროლა პორტ-არტურიდან. პორტ-არტურს ნუზლსურსათა კარგა ბლომად აქვსო.

ტიანძინი. («რეიტ. სააგენტო») როგორც ისმის, იაპონიის ლაშქარი, რომელიც იალუდან ჩრდილოეთად არის, ძალიან დამარცხდა და ფინხუანჩენისაკენ უკუიქცა.

ტოკიო («რეიტერის სააგენტო») «ხატცუსე» რომ დაიძირა, დაიღუბა 3 კაპიტანი და 32 აფიცერი და უნტერ-აფიცერი. კრეისერ «ოიშინოზედ» დაიღუბა გემის უფროსი კაპიტანი და 3" აფიცერი და უნტერ აფიცერი. დაღუბულ მეზღვაურთა რიცხვ: ცნობაში არ „არის მოყვანილი. «ხატცუსე» დაიძირა ნაღმისაგან და არა წყალ ქვეშ მავალ ნავსაგან. უარჰყოფენ იმ ხმას, რომ ვითომ დაზიანდა გემი «შიკიშიმა» და დაიძირა ჯავშნიანი ხომალდი «ფუჯიო».

ნიუ-ჩუანი. («რეიტერის სააგენტო»). იაპონელები შეხვდნენ 3 მაისს ფინხუანჩენიდან 60 მილის მანძილზედ აღმოსავლეთად რუსეთის ლაშქარს, რომელშიც 32,000 კაცი იყო და მაგარი ადგილი ეჭირა. იაპონელებმა სასწრაფოდ დაიწიეს უკან. ბრძოლა არ მომხდარა. ყაზახნი ავიწროებდნენ იაპონელთა დივიზიის ფრთებს, ვიდრე ეგ დივიზია თავის უმთავრეს ძალას არ შეერთდა. უკან დახევის დროს იაპონელებმა შესამჩნევი ზარალი ჰნახეს.

ტოკიო. («რეიტ. სააგ.»). ადმირალი ხოსიოა აუწყებს თავის მთავრობას, რომ მესამე ესკადრით, რომელშიაც იყო ჯავშნიანი გემი, ორი საკანონერო ნავი, გემები ნაპირების დაცვისა და სხვა კრეისერები, მფარველობა გაუწია ჯარების გადასვლას ხმელეთზედ, არ ამბობს კი სადა, ალბად დაგუშანთან. პირველში ზარბაზნები დაუშინე ნაპირებს, ხოლო შემდეგ, დილის 8 საათზედ, ვუბრძანე მეზღვაურთ გადასულიყვნენ ნაპირას და დაეჭიათ მაღლობი ადგილები, საცა ააფრიალეს დროშა. გადასხმა ჯარებისა დაიწყო.

ტოკიო. («რეიტ. სააგ.»). ადმირალი ტოგო, თანამეგზარე ესკადრის უფროსისა, აუწყებს თავის მთავრობას, რომ მე მგზავრანა იერიში მიმეტანა გიაჯოუზე (გაიპინი), რომელიც ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის დასავლეთ ნაპირად მდებარეობს, ნიუ-ჩუანის სამხრეთად. პორტ-არტურში მივედი «ხატცუსეს» დაღუბვის შემდეგ, როცა იმაზედ მყოფს მეზღვაურთ დარჩობისაგან ვიხსნიდით. მონაწილეობა მივიღე რუსთა ნაღმოსან გემების მიერ მოტანილ იერიშის უკუქცევაში. ის ნაღმოსნები პორტ-არტურიდან გამოვიდნენ. იმავე სალამოს შევედი პეკელიის ყურეში და დავათვალიერე ნაპირები ცინჯოუს მახლობლად; 3 მაისს მტერს უკან დავახვიენე ტონშანს ახლო მდებარე სერებიდან, ხოლო შემდეგ შევედი ცინჯოუს ზღვის უბეში. 4 მაისს ყუბარები დაუშინე რკინის გზას მატარებელს, რომელშიც ჯარები იყო და მტრის შენობებს და ზარალი მივაყენე მტერს.

8 მაისი

მუკდენი. 7 მაისს (საკუთ. ორრეს.) როგორც ამბავი მოვიდა, ჯავშნიანი გემ „ხატცუსე“ დაზარალდა წყალ-ქვეშ მავალ ნავისაგან და ჩაიძირა; მეორე გემ „ფუჯის“ მინაგვარი გადაზნეული გადახრილი წავიდა, აგრეთვე დაზარალებული ნაღმისაგან, ხოლო კრეისერი «ოიშინო» ჩაიძირა, რადგან დაეჯახა კრეისერ «ჯასუგას».

პოლტავა. პოლტავის გუბერნატორმა თავადმა ურუსოვმა მიიღო შემდეგი დეპეშა სამმპერატორო კარის მინისტრისაგან: „ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ინება და ბრძანა გამოუცხადეთ ქალაქის მკვიდრთ, აგრეთვე მამასახლისებთან ერთად მოსულ გლეხ-კაცთა მისი ბეჭდ წრფელი მადლობა, როგორც მიღებისათვის, ისე წესიერების დაცვისთვის მის უდიდებულესობის ყოფნის დროს პოლტავაში“. ნაბრძანებია, რომ კადეტნი და მოსწავლენი დათხოვნილ იქმნან სამის დღით.

ირკუტსკი. გზათა მინისტრი თავადი ხილკოვი დღეს გაემართა მანჯურიას.

ნიუ-ჩუანი. («რეიტ. სააგ.») რუსთა ზარბაზნები, რომელიც აქედან იქმნა წაღებული, უკვე დაამაგრეს სანგრებზედ.

ხარბინი. რუსნი ამტკიცებენ, რომ რამდენისამე დღის შემდეგ აქ იქმნება თავმოყრილი სამი ათასი დარაჯიო (?). რკინის გზის გაყოლებაზე თითქმის ყველგან დაწყვეტილია ტელეგრაფის მავთულები. —სმბრდერო ტელეგრაფი აქედან არტურამდე კიდევ მოქმედობს, მაგრამ იაპონელები დეპეშების შინაარსს იგებენ და ალარ უშვებენ, რომ დანიშნულებამდე მივიდეს.—ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღე აქ დიდის ამბით იდღესასწაულეს.

ტიანძინი. («რეიტ. სააგ.») როგორც ამ ბოლოს დროს მოვიდა ამბავი, იაპონელთა პირველ ლაშქრის ორი დივიზია მიიბრძვის ერთი ხაჟენისაკენ, ხოლო მეორე ლიაოანისაკენ. ჰგონებენ, რომ ვითომ რუსებმა უკვე თავი მოიყარეს და შეუტიეს მტარს ლიაოიანის სამხრეთად და უკუ-აქციეს დიდის ზარალითაო.

მუკდენი. („რეიტერის სააგენტო“). იაპონის რაზმი მიდის მუკდენზე იმ განზრახვით, რომ რუსებმა ალარ შეიძლონ სატეგ მოქმედების დაწყება. ფიქრობენ, ძალიან მალე დიდი ბრძოლა მოხდებაო. როგორც სჩანს იაპონელები აღმოსავლეთის მხრიდან მიდიან ლიაოიანზე. რომ იცოდნენ, თუ საიდან მოდიან იაპონელნი, მაშინ რუსებს გაუ დვიდეოდა ბოდათ საქმე. იაპონელებს რომ გამოეცხადებინათ თვისი მოქმედების გეგმა, რუსებს ეცოდინებოდათ, სად და როგორ გაეწიათ წინააღმდეგობა.

ნიუ ჯუანი («რეიტ. სააგ.»). რადგანაც რუსებმა შესცალეს თვისი მოძრაობა და ისეთი მხრიდამ მოუარეს იაპონიის ლაშქრის ნაწილსა, რომელიც მოდიოდა ლიაოიანიდან აღმოსავლეთისაკენ, იაპონელნი იძულებულნი იქმნენ ფინხუანჩენისაკენ დაეწიათ.

ჩიფუ. როგორც «დელი ნიუსი» იუწყება, 7 მაისს, დილის $10^1/_2$ საათზე, პორტ-არტურისაკენ მოისმა აფეთქების ხმა.

ტოკიო. («რეიტ. სააგ.»). როგორც ეკი დასრულდება მზადება, იაპონელები მაწინეე სცდიან პორტ-არტურზე იერიშის მიტანას. ჯარები იერიშაოათვის მზად არის. იაპონელებს ესმით, რომ იერიში ძვირად დაუჯდებათ, მაგრამ იმედი აქვთ, ხალხს არ შეაჩოვებენ, რაკი ჯერ ციხეს დაამხობენ. ნაღმი შუდამ საშიშია და ძალიან ეფეკტური ლონისძიებანია საჭირო მის დასაძლევად.

ტიანძინი. («რეიტერის სააგენტო»). როგორც ხმა გავრცელდა საქმის მეცადინეობაან, იაპონიის პირველი ლაშქარი დამარცხებულა და უკუუქცევიათ ფინხუანჩენისაკენ.

არიოლი. საგუბერნიო ერობის სანატარული რაზმი წავიდა მოსკოვს, იქიდან წავა შორეულ-აღმოსავლეთს.

სოფია. (ოსმოხეთის ცნობებით). მართებლობა ამტკიცებდა, რომ ლტოლვილნი თვის ნებით დაბრუნდნენ ოსმალეთსაო, მაკედონის კომიტეტები-კი უკმაყოფილონი არიან პოლიციისა. კრებაზე პოროტესტი გამოაცხადეს, პოლიცია აწუხებს ლტოლვილებსაო. შემდეგ-კი საყვედური გამოუცხადეს მთავრობას, იმან ოსმალეთ-ბულგარიის პირ-შეკრულობით ლტოლვილთა საქმე წაახლიანო. გაჩეთებმა გამოაქვეყნეს, რომ იმ ლტოლვილთ, რომელნიც ოსმალეთში დაბრუნდნენ, შიმშილით მოელიანო და ისევ ბულგარიაში ბრუნდებიანო.

დროებით რედაქტორი **ბრ. ᲙᲘᲤᲨᲘᲫᲔ.**
გამომცემელი **Ა. ᲡᲐᲠᲐᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

გამოსაღებები ცნობანი:

პეტერგზბურგის ბირჟა

7 მაისი 1904 წ.

ვექსელის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	—
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიეში 100 ფრანგში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,30
პარიეში „	37,65
ბიუკის დისკონტი	6—$7^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$90^1/_8$ წვ. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. ბანდ.	
მამელო ბანკისა	$87^3/_4$ ნის. გაყ.
5% პირ. შინაგ. მოგ.-ბილ. 1864 წ.	367 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგება. ბილ. 1866 წ.	296 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მ.ბ. ბანკის	260 ნის. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო სახოგ.	$90^3/_4$ წვ. გაყ.
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე სახოგადოებისა.	—
$4^1/_2$% ტფილ. საადგ. მ.ბ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—

განცხადებანი

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ
Ლ. Ბ. ᲗᲝᲛᲣᲨᲠᲘᲐᲡ
ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲕᲘ,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალთა ავადმყოფთათვის, შშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი კაბინეტით. გადამდებელი ნენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ასი დღე-ღამეში ᲒᲐᲛ სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

70% ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲐ 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამბადებულ საქონლის გამო ეა აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებული ფასად.

მ.რტო 5 მან. და 90 კაპ. გაკ/სგენით

ქვემოთ ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **ᲡᲐᲐᲗᲘ** გაშვებული ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლი) ძალიან მშვენერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბულდაგანაბით. 2) **ᲫᲘᲤᲧᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲜᲘᲡ** პრტყელი (ბანკრისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი, 3) **ᲒᲠᲐᲚᲝᲜᲘ** ამალი ოქროსი. «კომპასი» ანუ სხვა, 4) **ᲛᲔᲗᲘᲡ ᲫᲘᲚᲐ** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელეკტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლს ანუ **ᲒᲐᲛᲔᲦᲘᲚᲘ ᲝᲥᲠᲝᲜᲘ 56 ᲓᲐᲯᲔᲚᲘᲡᲐ** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **ᲙᲐᲚᲔᲜᲘᲡ ᲓᲝᲜᲐ** საუცხოო საზღვაო-გარეთის ფოლადისა ან **ᲛᲣᲨᲢᲣᲠᲘ ᲙᲐᲐᲠᲐᲢᲘ** უვნებელ წყვილისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და ყელდეკლის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ᲫᲘᲚᲐ** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოცავ ბარათებისთვის, ქალალდებისთვის და საბუთის წერილებისთვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამლისა ქვებით. ყველა ამას ვეზავნით მოქმ სარჩურათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიმართონ ამ ადრესით: **Главному Складу Часовъ Торговаго Дома.**

Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская, 32/350.

ეზოის რუსეთისა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.

(3—5—3

ᲠᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲑᲐ «ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐ»-ᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ 30 მაისს, საღამოს 7 საათ., ქუთაისის საერთიერთო ნდობის საზოგადოების სადგომში.

ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ:

1) განხილვა და დამტკიცება 1903 წ. ანგარიშისა.

2) მოხსენება: სარევიზიო კომისიისა 1903 წ. ანგარიშის გამო.

3) გამგეობისა ამხანაგობის აპერაციების შესახებ.

4) განხილვა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვისა 1904 წლისათვის.

5) არჩევა გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

(1—5—1).



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ
ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲕᲘ
ᲕᲔᲚᲝᲡᲘ�პᲔᲓᲔᲑᲘ
ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲛᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲗ.



СПБ. Морская, № 30.

(10—5—9).

ᲛᲝᲚᲘᲗᲮᲝᲕᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲜ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ
„ᲝᲠᲓᲝᲑᲠᲘᲜᲘ“ Მ. Გ. ᲚᲘᲒᲔᲓᲔᲔᲕᲘᲡ

ეს წამალი სრულიად აკრობს რამდენამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცსძირიან-ფუსკიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საიფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

გამოვიდა და ისყიდება ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

НАРОДНАЯ МЕДИЦИНА

въ Закавказскомъ краѣ, а. иаЗвилиса, цѣна 70 коп.

(2—14i—2).

ᲙᲝᲛᲒᲔᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

დარბ მოწაფეთა დ.ბ.ბრ.ბ.ისთვის ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა სასოგადოებისა აუწყებს სასოგადოებას წევრთა, რომ ამ წლის მაისის ოცსა, ხუთშაბათს, სადამოს რვა საათზე, ტფილისის სათავადაზნაურო სადგომ-მაძულო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური სასოგადო კრება სასოგადოების წევრთა

განსახილველია:

1) ანგარიში სასოგადოების 1903 წლის მოქმედებისა და გამგე კომიტეტის მოხსენება ამ ანგარიშის გამო.

2) სავარაუდო ადრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1904 წლისთვის.

3) მოხსენება გამგე კომიტეტისა სასოგადოების ანალის სახლის ეერაზე აშენების შესახებ.

4) სავენსია წესდება სათავადაზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

5) შეგსება სასოგადოების წესდების §§ 4 და 18.

6) მოხსენება სასალის შტატების შესახებ სათავადაზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

7) მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავადაზნაურო საქალო სკოლის შესახებ.

8) სხვადასხვა წარილმანი საკითხი.

9) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ეურულისა, რომელიც ვადის გასვლამდე თავი განება წევრობას.

(3—5—3)

Дозволено цензурою Тифлисъ 8 мая 1904 г.

Тип. Е. И. Халадзе. Русск. базаръ, домъ арм. семинаріи.